



სასამართლო სხდომის ო ქ მ ი

27 იანვარი 2011 წელი

ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

მოსამართლე ნანა დარასელია

სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი

მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“;

მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

მესამე პირი - შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმიტედი“

დავის საგანი - ქმედების განხორციელების დაავალდებულება;

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. სხდომა დამთავრდა 15:45 საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს. სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ:

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი - ნინო გუჯარაიძე;

მოსარჩელის წარმომადგენელი - ირმა მახათაძე (წარმოდგენილი რწმუნებულება ერთვის საქმეს);

მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი - სოფიო ახალაძე (მინდობილობა ერთვის საქმეს);

სხდომაზე არ გამოცხადდა:

მესამე პირი შპს „გლობალ იუთილითი ლიმიტედი“-ს წარმომადგენელი

მათთვის დღევანდელი სხდომის შესახებ ცნობილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მათი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოში რაიმე შეტყობინება შემოსული არ არის.

მოსამართლე განმარტავს სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მესამე პირის შპს „გლობალ იუთილითი ლიმიტედი“-ს წარმომადგენელი, რომლისთვისაც სხდომის დღე ცნობილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან, სასამართლო სხდომის დაწყებამდე მათ მიერ საქმის განხილვის გადადების მოთხოვნით, არც შუამდგომლობა და არც რაიმე ცნობა საპატიო მიზეზით სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, რის გამოც სასამართლო შპს „გლობალ იუთილითი ლიმიტედი“-ს წარმომადგენლის გამოუცხადებლობას მიიჩნევს არასაპატიოდ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹ მუხლის III ნაწილის თანახმად, უფლებამოსილია ადმინისტრაციული საქმე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელისა გამო, განიხილოს მესამე პირის შპს „გლობალ იუთილითი ლიმიტედი“-ს წარმომადგენლის დასწრების გარეშე.

მოსამართლე ამოწმებს პროცესზე გამოცხადებულ პირთა ვინაობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას.
მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე ნანა დარასელია, სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი და უმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.
მხარეებს მოსამართლის და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლე განმარტავს, რომ სასამართლოს დავალების შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ წარმოადგინა 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმება №1, რომელსაც სასამართლო უნდა გაეცნოს დახურულ სხდომაზე.

15:05 საათზე მხარეები და სხდომის მდივანი ტოვებენ სხდომის დარბაზს.
15:25 საათზე გრძელდება საქმის განხილვა მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიიდან

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი ირმა მახათაძე განმარტავს - ჩვენთვის სულ ახლახანს ცნობილი გახდა რომ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების დანართები, განთავსდა საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე, ისევე, როგორც თვითონ ეს ხელშეკრულება და რომელზეც მიუთითებს მხარე, რომ არის კომერციული საიდუმლოება. ჩვენ ხელთ გვაქვს შესაბამისი მტკიცებულებები, ანუ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის, ბესიკ მელაძის მიერ 10 დეკემბერს წარდგენილი დანართები, რომლებიც ჩვენ სულ ეხლახანს ვნახეთ, ეს არის ვებ გვერდზე განთავსებული და ჩვენ გვაქვს მთლიანად ეს დოკუმენტაცია წარმოდგენილი და წარმოუდგენთ სასამართლოს, გთხოვთ დაურთოთ საქმეს.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელი სოფიო ახალაძე განმარტავს - ის ვაღიარებულებები, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელშეკრულებით აქვს ნაკისრი ასრულებს და ამაზე ალბათ პასუხს აგებს ის მხარე, რომელმაც განათავსა აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე.

მოსამართლის შეკითხვაზე მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი ნინო გუჯარაიძე პასუხობს - 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმება არ არის, მხოლოდ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების დანართებია.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 12 მუხლის, მე-4, მე-19 მუხლების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე, 284-285-ე მუხლებით და

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. დაერთოს საქმეს მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება.
2. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი ირმა მახათაძე განმარტავს - ეს დანართები არის 2008 წლის 14 მაისის განუყოფელი ნაწილი და განცხადება რომლითაც მიემართეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 29 სექტემბერს ჩვენ მოვითხოვეთ ამ ხელშეკრულების თავისი დანართებით შესრულების ანგარიში. იმ პირობებში, როდესაც როგორც ძირითადი ხელშეკრულება ისე მისი დანართები განთავსებულია საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე საჯარო გაცნობისათვის, მოპასუხის მოსაზრება მასზედ, რომ ვინაიდან 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, ასევე მისი დანართები წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და აქედან გამომდინარე ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვაღიარებულების შესრულების ამსახველი ანგარიშები არის კომერციული საიდუმლოება და ამიტომ არ

უნდა იქნეს გაცემული, საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული. ჩვენ ამ მტკიცებულებებით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება და მისი დანართები არ არის კომერციული საიდუმლოება და მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ექვემდებარება გაცემას.

მხარეებს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზე დამატებით განმარტების მიცემა არ სურთ.

დამთავრდა მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადია.

იწყება მხარეთა პაექრობის სტადია.

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი ირმა მახათაძე განმარტავს - ჩვენს საპაექრო სიტყვაში ვეთანხმებით და ვიზიარებთ ახსნა-განმარტების დროს მიცემულ განმარტებას. ვითხოვთ დაკმაყოფილდეს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის 2010 წლის 29 სექტემბერს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალებების თაობაზე. ჩვენი მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველია ის, რომ 2010 წლის 1 ოქტომბერს მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა 2010 წლის 29 სექტემბრის განცხადების პასუხი სამინისტრომ ასოციაციას აცნობა 2010 წლის 8 სექტემბრის წერილით. სასამართლოს განუმარტავთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის 8 სექტემბრის წერილი შეეხებოდა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებას. მოცემული განცხადებით ასოციაციამ გამოითხოვა 14 პუნქტად საჯარო ინფორმაცია, აქედან გადმოგვეცა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245-ე, №323 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2008 წლის №325 განკარგულება. სასამართლოს მოვახსენებთ, რომ 2010 წლის 29 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილ იქნა სულ სხვა საჯარო ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობდა ასევე 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულებიდან, იგულისხმება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მთავრობასა და „მაღტიმალექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. ანუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის I ოქტომბრის წერილი ფაქტიურად წარმოადგენს უარს 2010 წლის 29 სექტემბრის განცხადებაზე, რომლითაც ასოციაციამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან. ჩვენ მხოლოდ შესაგებელში გავეცანით მოპასუხის მოსაზრებას მასზედ რომ 2010 წლის 29 სექტემბრის განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, 2009 წლის 22 დეკემბრის №1 შეთანხმება და მისი ყველა დანართი წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად კომერციულ წარმომადგენს. ჩვენ ახსნა-განმარტებაშიც მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ზოგადი საიდუმლოებას. ჩვენ ახსნა-განმარტებაშიც მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ მიიჩნევს ხელშეკრულებაში გამოქვეყნებულ ნებას გადაწყვეტილებად შესაბამისი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის მე-3, მე-5 პუნქტები ადგენს შესაბამის პროცედურებს, ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისთან დაკავშირებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ჩვენ მივუთითებთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლს და ვთვლით, რომ აღნიშნული ხელშეკრულება თავისი დანართებითა და შეთანხმებით წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, ვინაიდან ამავე კოდექსით დადგენილი წესით ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებასთან დაკავშირებით არ არის დაცული, მხარემ ვერ წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება და რაიმე გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ ორგანოში, რომ ეს ინფორმაცია არის კომერციული საიდუმლოებად ცნობილი. ჩვენს მოსაზრებებს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ეს ხელშეკრულება თავისი დანართებით, საჯარო გაცნობისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოქალაქისათვის. მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 40-ე, 42-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე დაარღვია



ორპუსის კონვენციის მე-2 მუხლი და მიგვაჩნია, რომ სარჩელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 331-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არის დასაბუთებული, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უარის გავლენას ახდენს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე. მითუმეტეს ასოციაციის საქმიანობა უკავშირდება გარემოს დაცვით საკითხებს. აქედან გამომდინარე ჩვენი სარჩელი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალოს მოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი ნინო გუჯარაიძე განმარტავს - ჩვენს მიერ წარმოდგენილი დანართებიდან, ერთერთი მე-4 ან მე-5 დანართი, არის წმინდა გარემოს დაცვითი ხასიათის ინფორმაცია, ეხება თბილისში არსებული წყლის ხარისხთან დაკავშირებით ინფორმაციას. ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო წარდგენილი ანგარიშებში და ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს ინფორმაცია არის წმინდა გარემოს დაცვითი ინფორმაცია, რომელიც გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება. შეუძლებელია, რომ ეს წარმოადგენდეს ვინმეს, მითუმეტეს მონოპოლიური კომპანიის კომერციულ საიდუმლოებას.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელი სოფიო ახალაძე განმარტავს - მხარს ვუჭერთ შესაგებელსა და წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას, ვინაიდან 2010 წლის 29 სექტემბრის განაცხადში მოთხოვნილი იყო გარკვეული საკითხები და თითოეულ მათგანზე წერილობით გაგვცათ პასუხი და ამიტომ აღარ განვმეორდები. რაც შეეხება დანართს, რომელიც წარმოადგინა მხარემ, მოგეხსენებათ, რომ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც აღნიშნული ინფორმაცია მიჩნეული იყო საიდუმლოდ, თუმცა შპს „უოთერ ენდ ფაუერი“-ს წარმომადგენლები ყველა პროცესზე განმარტავენ, რომ აღნიშნული მოთხოვნით თუ მათ მიმართავდა მხარე, მაშინ ისინი გადასცემდნენ აღნიშნულ ინფორმაციას, მაგრამ მხარეს რატომღაც უნდა მაინცდამაინც სასამართლოს გზით მოიპოვოს ეს ინფორმაცია, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ვითხოვთ არ დაკმაყოფილდეს სარჩელი.

დამთავრდა მხარეთა პაექრობის სტადია

იწყება მხარეთა რეპლიკის სტადია

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი ირმა მახათაძე განმარტავს - ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება, რომელზედაც აპელირებს მოპასუხე არ არის კანონიერ ძალაში შესული, აქედან გამომდინარე ის, რაც მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლომ და გაიზიარა მეორე ინსტანციის სასამართლომ, არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, მით უფრო როდესაც საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზეა განთავსებული მთელი ძირითადი დოკუმენტები, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება გასცეს საჯარო ინფორმაცია და იმ პირობებში როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ ახორციელებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, რაც მას ეკისრება კანონით ბუნებრივია, რომ მივმართავთ სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად, ანუ ეს ჩვენთვის თვითმიზანი ნამდვილად არ არის, დავიცავით ის პროცედურა ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რასაც ადგენს ადმინისტრაციული კოდექსი.

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი ნინო გუჯარაიძე განმარტავს - ძნელი წარმოსადგენია როდესაც ორგანიზაცია მეუბნება მოდი ჩემთან და გადმოგცემ შენთვის საინტერესო ინფორმაციასო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იგივე ინფორმაციის გადმოცემაზე უარს მეუბნება.

მოპასუხე მხარის წარმომადგენელს რეპლიკის უფლებით სარგებლობა არ სურს.

ცხადდება მოტივირებული განჩინება.

სასამართლო განმარტავს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

ამდენად, საქმის სირთულიდან გამომდინარე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემულ საქმეზე გადაიდოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ სარჩელისა გამო მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ქმედების განხორციელების დაეაღდეგებულების თაობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდოს 2011 წლის 31 იანვარს 17:30 საათზე.

2. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 15:45 საათზე.

მოსამართლე

სხდომის მდივანი



Handwritten signature of Nana Daraseliya

ნანა დარასელია

Handwritten signature of Ekaterine Mindiasvili

ეკატერინე მინდიაშვილი

Handwritten notes: თეგანა 15:45 2/4 2.13.11